## **Ა**ᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ോഗ്യാ **ᲒᲘᲠᲐᲝ ᲒᲐᲦᲐᲘᲮᲐᲦᲐ**



62 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ **ᲒᲠᲐᲚᲦᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲖᲚᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲡ ~~600 ᲞᲐ**ᲒᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲔᲤᲐᲠᲓᲐ

83.**5** 

ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 2019

**№**215 (8169)

#### ფასი: 60 თეთრი

# "U37eU33U&r? &7 37æ79JP

არსად, არც ტელევიზიით არ მიულოცავს ივანიშვილს კალაძისთვის მერის არჩევნებში გამარჯვება... ვინაიდან კალაძეს, სხვებთან შედარებით, თავისი პირადი რეიტინგი მაღალი აქვს, ამიტომ ანგარიშს უნევენ



"პოლიტიკურ ოპონენტებზე

ზენოლა გაძლიერდება"

პოემიეობლ

**&7201932000** 

**നദാദനമദനമാ** 

PAGRP PARAM

**ᲨᲔᲐᲤᲣᲠᲗᲮᲐ**"

მამუკა გამყრელიძე:

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ <sub>88.</sub>5

ያንፎሣሀ ፠ንልንሣሀዓጋ

ᲒᲘᲝᲠᲒ**Ი Ვ**ᲝᲚᲡᲙᲘᲡ

**JEU3UL &7 9UPU3UP** 

ഒധഭാലോഷ്ധ

Րንၔ۹℞ՍՍՐ

## **ᲛᲘᲜᲘᲡ**ᲒᲠᲔᲑᲡ ᲐᲦᲘᲙᲝ **U372U33UZU 2U3273P**57

კოტე კემულარია: "თუ პოლიტპატიმრებს გამოუშვებენ, გახარიას დაჭერის საკითხი დადგება"

"ნებისმიერს შეუძლია,









"ხაჯიმბა არალეგიტიმურია"



#### **ᲙᲐᲮᲔᲗ**ᲘᲡ **Ր**Նፎንሢ9W3୨ฏՍ **Ի**ՄՃԱՄԵՆ ԵՆ **Պ**၁3ՖՈԼ **ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ** ფაქგებᲘ

83.**3** 



owou **ᲦᲐᲦᲣ**ᲙᲣᲚᲘ **ሚን** ጠሐበ ຂຸງສາງລວງກາວ

ავარია კახეთში













**ሐ**ግሀጋ<mark></mark>ልፀህ **Ն**ՁԻՆՔՆՍՈՐԻ ጠዓሀቦ ዓዓበベበ **76793**P



ᲜᲘᲥᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ: "ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ, **ՍԻ ԴԴ**၁**Պ**ԽԻ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲘᲛᲖᲕᲠᲘᲝᲡ **MY3U' 93 3773MJ9 U97P' ሣን**ቤ ንሣሀቦ **ᲙᲝᲜᲡ**ᲒᲘᲒᲣᲪᲘᲣᲠᲘ"



**ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ** 4799U9U — PD4RU93 **ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲦᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲦᲐ ᲦᲐ** 3A3&NC36&M97F 73UC3PF



## 

"ნებისმიერს შეუძლია, დაესწროს ამ კონფერენციას, შეჭრა უხეშობაა" – კრამერი ინაშვილთან ინციდენტზე

ხმაური თბილისში. მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე ინციდენტი მოხდა. "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი ირმა ინაშვილი კონფერენციაზე მიწვეული არ იყო. იგი მივიდა და კონფერენციის ჩაშლა ცადა.

ფლორიდის საერთაშორისო უნივერ-სიტეტის მკვლევარი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი ამბობს, რომ კონფერენციაზე შეჭრა უხეშო-

– ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დაესწროს ამ კონფერენციას. ერთადერთი, რასაც ვითხოვთ, რეგისტრაციაა. ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენი პოლიტიკური შეხედულებე-ბი, შეგიძლიათ, მიიღოთ მონაწილეობა. თუმცა, კონფერენციაზე შეჭრა, გულწრფელად, რომ ვთქვა უხეშობაა. ვიმედოვნებ, ახლა ყველა

დამშვიდდება და განვაგრძობთ იქიდან, სადაც შევჩერდით, – ამბობს კრამერი. დევიდ კრამერის თქმით, მან არ იცოდა, ვინ

იყო ირმა ინაშვილი. კრამერმა ტაბულას უთხრა, რომ ირმა ინაშვილის შეჭრის დროს მისი მიზანი მხოლოდ კონფერენციის განახლება იყო

ყველაფერი ძალიან მარტივია, მე არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ეს ადამიანები. მე ვნახე ვიღაც



მიკროფონით, რომელიც უხეშად შემოიჭრა კონფერენციაზე. შემდეგ ის ქალი შემოვიდა, არც მის შესახებ ვიცოდი, ვინ იყო. ყველა კამერა მასზე იყო კონცენტრირებული. მე გადავწყვიტე, რომ სიტუაცია უნდა განმემუხტა, სხვანაირად კონფერენცია ვერ გაგრძელდებოდა. ჩემი ინტერესი კონფერენციის განახლება იყო. მას შეუძლია, აქ იყოს. არ ვიცოდი, ვინ იყო, შეუძლია დარჩეს. კაცი მიკროფონით განსაკუთრებით უხეში და

თბილისში საერთაშორისო კონფერენციაზე მომხდარი ინციდენტი საერთაშორისო მიმომხილველმა მაიკლ კარპენტერმა შეაფასა. მისი თქმით, საქართველოში პრორუ-სული ძალები აქტიურნი არიან.

– საქართველომ ბევრი გააკეთა, რომ ყოფილიყო გამძლე რუსული პროპაგანდის და რუსული გავლენის მავნე პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო იარაღების წინააღმდეგ. თუმცა საქართველო კვლავ რჩება მოწყვლადი მის წინააღმდეგ და ეს ეპიზოდი სწორედ ამას აჩვენებს. ამ ქვეყანაში პრორუსული ძალები აქტიურნი არიან და ცდი-ლობენ საკუთარი მესიჯის დანერგვას. რაც უფრო ეფექტურად შეებრძოლებიან და გააქარნყლებენ ამ გზავნილებს ქართველები, მით უკეთესი. თუმცა, სამწუხაროა, რომ მსგავსი

მოსაზრების მქონენი მმართველი კოალიციის ნაწილნი არიან, – აღნიშნა მაიკლ კარპენტერმა. ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა

"პატრიოტთა ალიანსის" ლიდერის მიერ თბილისის საერთაშორისო კონფერენციის ჩაშლის მცდელობას გამოეხმაურა. მისი თქმით, ინაშვილი ქმედება რუსეთის გეგმის ყველაზე უარეს მხარეს

– მართლაც საცოდაობაა. ეს პიროვნება

გვიჩვენებს რუსეთის გეგმის ყველაზე უარეს მხარეს და ცხად ნიშნებს. ეს გეგმაა ჩაშლა – ჩაშალო პოლიტიკა, ჩვენი კონფერენცია, გაანადგურო საქართველო – აქ შემოჭრით და ოკუპაცი-ით, გაანადგურო უკრაინა შეჭრით და ოკუპაციით, რათა რუსეთმა მოიპოვოს კონტროლი და არ დაკარგოს ეს ქვეყნები NATO-სთან. ეს იმდენად ცხადია, სასაცილოა, – განაცხადა მეთიუ ბრაიზამ "ამერიკის ხმის" კითხვის საპასუხოდ.

ლიეტუველმა დეპუტატმა ჟიგიმანტას პავილიონისმა ირმა ინაშვილს მიმართა:

– ქალბატონო, ზუსტად არ ვიცი თქვენი სახელი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ბოკერია თქვენი საუკეთესო მეგობარია და თქვენ მოგიწევთ მისი შეყვარება. ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ ლიეტუვაში ვისწავლეთ. თქვენ შეგიძლიათ, იყოთ ძალიან განსხვავებული, გქონდეთ განსხვავებული შეხედულებები, მაგრამ, თუ თქვენ გსურთ ამ ადამიანების დარწმუნება თქვენს სტრატეგიულ ეროვნულ მიზნებში, უნდა დარჩეთ ბოკერიასთან ერთად, ვიდრე არ შეხვალთ ნატო-სა და ევროკავშირში. შემდეგ უკვე შეგიძლიათ, ებრძოლოთ და აკეთოთ, რაც გსურთ, მაგრამ ნატო-ში შესვლამდე ისე არ მოიქცეთ, როგორც სულ ცოტა ხნის წინ მოიქეცით, — მიმართა ლიეტუველმა დეპუტატმა ირმა ინაშვილს.

#### 6ᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ: "ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ. ᲘᲡ ᲐᲙᲔᲗᲝᲡ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲘᲛᲖᲕᲠᲘᲝᲡ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲔ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲘᲛᲐᲡ, **ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡ**ᲒᲘᲒᲣᲪᲘᲣᲠᲘՙ

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ტელეკომპანია "კავკასიაში" მივიდა.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერი აცხადებს, რომ მას სრული უფლება აქვს, არ დაემორჩილოს ივანიშვილის დღის წესრიგს, მივიდეს ტელევიზიაში და დააფიქსიროს საკუთარი აზრი.

– ეს გადაწყვეტილება, ვალდებული ვარ, რომ მივიღო. არ აქვთ უფლება, ამიკრძალონ თავისუფალი გადაადგილება, როცა დადგენილი წესისამებრ ვატყობინებთ პროკურატურას და სწორედ ასე მოიქცა ადვოკატი, როცა ჩააყენა საქმის კურსში ივანიშვილის პროკურატურის



წარმომადგენლები და ჩვენ უარი მივიღეთ.

ამით გვეუბნებიან, რომ პარლამენტარს არ აქვს უფლება, მივიდეს ტელევიზიაში თუ სხვა ადგილზე. უნდა შეაჩვიოს იმ ადამიანთა წრეს, რომელიც მას არ სიამოვნებს. გირაო მითხრეს, შევიტანე გირაო, ეს იყო დაუსაბუთებელი. მითხრეს, პირადობა ჩააბარე და პასპორტი დატოვე დავტოვე. მითხრეს, სამაჯური გაიკეთეო, გავიკეთე. ახლა მეუბნებიან იქ არ წახვიდე იქ წადი. ევით ადი, მაგრამ ქვევით არ ჩახვიდე. ეს არის ანტიკონსტიტუციური, რაც უნდა ის აკეთოს ივანიშვილმა იმტვრიოს თავი. მე ვაკეთებ იმას, რაც არის კონსტიტუციური. მიუხედავად იმისა,

რომ ის იმორჩილებს ყველა პარლამენტარს, ვერ დაიმორჩილებს საქართველოს მოქალა-

ბოლო თვეებს ითვლის ივანიშვილის ხელისუფლება. ასცდა და გასცდა სამართლებრივ სივრცეს. გინიშნავს ჯანდაცვის მინისტრს, აიტანე, გინიშნავს პირად კლერკს თავდაცვის მინისტრად აიტანე. ჩემთვის პრო-ุ<sub>่</sub> ลูๆตั้ง 8 ๆตั้ง งศ์ งตั้งใบ งิ่ศตรูๆตั้ง 8 ๆตั้ง, ศตชิกლიც ამბობს შავზე თეთრს. ანტიკონსტიტუციურია ის მოთხოვნა, რომ დღეს პროკურატურა ამბობს, პარლამენტარ მელიას აეკრძალოს გადაადგილებაო, – განაცხადა ნიკა

### ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲖᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲘ"

"არა უშავს, ირაკლი, მალე შევხვდებით თბილისში თავისუფლად და ყველა ჩვენს უთანხმოებას გადავლახავთ

– ირაკლი, მალე შევხვდ<mark>ე</mark>ბით თბილისში თავისუფლად და ყველა ჩვენს უთანხმოებას გადავლახავთ.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქზე წერს და ირაკლი ოქრუაშვილს

– ოქრუაშვილთან რთული ურთი ერთობა მაქვს, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო მისი გამბედაობა და ის, რომ სრულიად უსამართლოდაა დაპატიმრებუ-

ლი. არა უშავს, ირაკლი, მალე შევხვდებით თბილისში თავისუფლად და ყველა ჩვენს უთანხმო-ებას გადავლახავთ, – წერს სააკაშვილი.

ამით სააკაშვილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პოსტს ეხმაურება, რომელიც ოქრუაშვილმა სოციალურ ქსელში გუშინ გამოაქვეყნა, სადაც პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარიას დანიშვნას აფასებს.

გარეთ 21-ე საუკუნეა. 30 წელი ხდება დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, ჩვენს ქვე-ขูงถึงป สูก "ถูกซีก" -ป ชิตงสู่ศักดิง สิ้นูงสูป ลงชั่งศึกงป ตุง სხვების სახით. რუსებმა და ივანიშვილმა ჩათვალეს, რომ გავრილოვის ღამეში მაღალი ფასის გადახდა მოუხდათ პროპორციული არჩევნების



დათმობის სახით. ამ ფასის ანაზღაურება კი გახარიას გაპრემიერებით გადაწყვიტეს. გახარიას გაპრემიერებით ივანიშვილმა და რუსებმა პროცესების რადიკალიზაცია დაიწყეს და ჩვენ ყველამ სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ აქე-დან, თუ რა სახის არჩევნები ჩატარდება 2020 წელს. შესაბამისად, მხოლოდ დასავლეთის შეფასებების იმედზე არ უნდა ვიყოთ და "სწორად' უნდა მოვემზადოთ. გახარიას გაპრემიერებით რუსებმა საქართველოს 20% -ის ოკუპაცია ხე-ლისუფლების 100% -იანი ოკუპაციით დაასრულეს. დარწმუნებული ვარ ივანიშვილმა უკვე უპატაკა პუტინს: "თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, – წერს ოქრუაშვილი.

#### ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲐᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ "ᲧᲣᲠᲘ ᲐᲣᲬᲘᲐ" — **ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲒᲐᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ ᲨᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ**

"ქართულ ოცნებაში" შიდაკლანური დაპირისპირება და ბიზნესგარჩევები არ ილევა.

"ნიუპოსტისთვის" ცნობილი ხდება მმართველი გუნდის წარმომადგენლებს შორის არსებული მორიგი დაპირისპირების შესახებ, რის გამოც დეპუტატ შოთა შალელაშვილს საპარლამენტო მანდატზე უარის თქმაც კი მოუწია. მეტი სიცხადისთვის გეტყვით, რომ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, შალელაშვილსა და მიქელა-ძეს შორის დაპირისპირება რამდენიმე თვის წინ, ბიზნესსაქმიანობის გამო დაიწყო. ამ-




ბობენ, რომ მმართველი პარტიის წევრებმა ერთ ბიზნესში ვერ "მოძოვეს" და მათი

წყაროს ინფორმაციით, სამტრედიის დეპუტატმა შალელაშვილი ბიძინა ივანიშვილთან დააბეზღა. ამბობენ, იმასაც რომ ქართული ოცნების წევრმა ბიძინა ივანიშვილთან ის ჩანაწერი მიიტანა, რომლითაც ის ამ გარჩევამდე დეპუტატ შალელიშვილს აშანტაჟებდა. მოკლედ, "სხდანიაკი" სწორედ შუშის სასახლეში იშვილმა 60 წლი შალელიშვილს გაურჩია, მიქელაძის მხარე დაიჭირა და პარლამენტის დატოვება უბრძანა. გავლენიანი წყარო, გვიყვება, რომ შესაძლოა ყოფილი დეპუტატი გისოსებს მიღმაც აღმოჩნდეს. "ივანიშვილმა შალელაშვილს, როგორც იტყვიან "ყური აუწია" — გვიყვება წყარო. საქმის სიმძიმეს ადასტურებს ისიც, რომ ამ შეხვედრიდან მალევე შალელაშვილმა ქვეყანა სასწრაფოდ დატოვა. "ნიუპოსტი" ცდილობს გრიგოლ მიქელაძესთან დაკავშირებას, მაგრამ დეპუტატი ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

დეპუტატის გადაწყვეტილების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. შოთა შალელაშვილს ოფიციალური განმარტება ჯერ არ გაუკეთებია. შალელაშვილი ფრაქცია "მრეწველების" წევრი იყო, რომელიც მან მიმდინარე წლის მარტში დატოვა და ფრაქცია "ქართულ ოცნებაში" გადავიდა.

#### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **ฃฃฃ๛ฃ๛ฃ๛** เงอก **Მ**ᲘᲜᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

საქართველო-სომხეთის საზღვარზე ნახევარ საათში სამი მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი საქართვე-ლოს საზღვრიდან **7** კმ-ში იყო. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ **3,6** მაგნიტუდა შეადგინა.



სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, თბილისის დროით 20:22 საათზე მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ **5,2** მაგნიტულა შეადგინა, 20:24 საათზე კი – 4.2.

წინასწარი მონაცემებით, პირველი მიწისძვრა – საქართველოს საზღვრიდან ცხრა კილომეტრში, მეორე კი ხუთ კილომეტრში მოხდა.

#### <u>ᲡᲐᲒᲘᲐ ᲛᲝᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲞᲠᲔᲖᲘᲦᲔᲜᲒᲗᲐᲜ</u> ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲐᲚ"



- მოქალაქეობრივი ეთიკა არ მაძლევს უფლებას, საჯარო პოლემიკაში შევიდე პირდაპირი წესით არჩეულ საქართველოს პრეზიდენტთან. ამის შესახებ บรรรัพอากุษาย วัตั้วชาตุกริสาน วัตั้วบบังกรุกษา ช่อลกร อิท-

ისწრაფიშვილი "ფეისბუქზე" წერს. — რამდენიმე დღეა, არ წყდება სატელეფონო ზარები ჩემი კოლეგებისგან. გასაგებია, რომ საკითხი-სადმი არსებობს ლეგიტიმური ინტერესი, მაგრამ მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და მოქალაქეობრივი ეთიკა არ მაძლევს უფლებას, საჯარო პოლე-მიკაში შევიდე პირდაპირი წესით არჩეულ საქართველოს პრეზიდენტთან და ამიტომ თავს შევიკავებ კომენ-

ტარისგან. იმედს გამოვთქვამ, რომ ქართული შედია გაითვალისწინებს ჩემს პოზიციას და ინციდენტს ამონურულად ჩათვლის, – წერს მოისწრაფიშვილი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პრეზიდენტის

პრესსპიკერ ხატია მოისწრაფიშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით გუშინ განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ხატია მოისწრაფიშვილი 4 სექტემბერს სიტყვიერად გაფრთხილებულ იქნა პრეზიდენტის პრესსპიკერის უფლებამოსილების რების თაობაზე, ხოლო 10 სექტემბერს გაეგზავნა შეტყობინება ადმინისტ ული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

– მის მიერ საჯარო სივრცეში გავრცელებული პირადი განცხადება ეწინააღმდეგება პრესსპიკერის პროფესიულ მოვალეობასა და სტანდარტებს. პრესსპიკერის თანამდებობა მკაცრად მოითხოვს, რომ მის მიერ საჯარო სივრცეში გაკეთებული ყოველი განცხადება გამოხატავდეს მხოლოდ პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის პოზიციებს. შესაბამისად, პრეზიდენტის პრესსპიკერს მოეთხოვება პირადი განწყობების საჯარო სივრცეში გამოხატვისგან სრულად თავშეკავება.

ხატია მოისწრაფიშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მუშაობის პრესსამსახურში გაგრძელების ოფიციალური შეთავაზება მიიღო, – ნათქვამია განცხადე-

abacu 

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან **დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი

**კონსულტანტები** ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავამე

<u>სარეკლამო სამსახური</u> – 2-94-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www. akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცზადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



## ᲙᲝᲒᲔ ᲙᲔᲛᲣᲚᲐᲠᲘᲐ: "ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲒᲞᲐᲒᲘᲛᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ, ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ"

იაგო ნაცვლიშვილი

რას ნიშნავს გიორგი გახარიას გაპრემიერება და ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრად დაბრუნება? რას ელოდება პოლიტპატიმრებთან მიმართებით და ხომ არ ილახება ხელისუფლების იმიჯის შელახვის კვალდაკვალ ქვეყნის იმიჯიც საერთაშორისო ასპარეზზე? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით "ახალ თაობასთან" ინტერვიუში "გამარჯვებული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი კოტე კემულარია საუბრობს.

შეაფასეთ მინისტრთა ახალი კაბინეტი. საზოგადოების ერთი ნაწილის პროტესტის მიუხედავად, გახარია მაინც გახდა პრემიერი. რა გზავნილი იყო მმართველი გუნდის მხრიდან და რაზე მიდის ხელისუფლება საზოგადოების ამ ნაწილის მიმართ?

– მე დარნმუნებული ვიყავი, რომ ასეც მოხდებოდა და ამ სავარძელში აუცილებლად ჩაჯდებოდა გახარია. ჩემთვის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ახლა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურად იმდენად სუსტია, როგორიც არასდროს ყოფილა. მას აქვს ფული, მაგრამ პოლიტიკური რესურსი, ფაქტობრივად, არ აქვს და ხალხის ნდობა პრაქტიკულად ამოწურა.

ის ცრუ დაპირებები, რომლებიც არჩევნების დროს იყო, დავიდა თითოეულ მოქალაქემდე და ამ სფეროში რასაც პოლიტი-კური ხერხები ჰქვია, თუნდაც ცუდი ხერხები, მან ამოწურა. დარჩა ერთადერთი – საკუთარ ხალხზე ძალადობა და დაშინება, რომ მე მოვიყვან გახარიას და ის თქვენ დაგიჭერთ, მაგალითად, როგორც დაიჭირა ირაკლი ოქრუაშვილი და ის ახალგაზრდები, რომლებიც პროტესტს გამოხატავდნენ, როგორც, მაგალითად, ნიკა გვარამიას წარუდგინა ბრალი, ხაზარაძეს და ა.შ.

– ანუ გახარია ძალადობასთან ასოცირდება და ამის დემონსტრირებისთვის სჭირდებოდა ის?

დიახ, მხოლოდ ამისთვის. ეკონომიკურად როგორი ძლიერია გახარია, ვნახეთ. საერთაშორისო კრედიტებს დააბრალა ლარის გაუფასურება, რაც აბსოლუტური უმეცრებაა. აქ მთავა რია, რომ კორუფციამ შეჭამა ქვეყანა და ამაზე არაფერი უთქვამს. დღეს ისევ ის მთავრობა გვყავს, ვინც იყვნენ, გახარიას ახალი არავინ მოუყვანია. პრაქტიკულად იგივე ეკონომიკური ბლოკი. ეს არ არის გახარიას მთავრობა, უბრალოდ, გახარია დასვეს მთავრობის თავზე. ეს თუ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვიდან, ადიკო ივანიშვილიდან და სხვებიდან არ მოდის, ეს ვერ გაკეთდება, გამორიცხულია.

– დროდადრო აქტიურდება ხოლმე ყოფილი მინისტრების წინააღმდეგ საქმეების ძიება, იქნება ქუმსიშვილი, ალავიძე თუ სხვა. ეს რას ნიშნავს?

– ეს ერთიანი სისტემაა. ეს შევარდნაძის დროიდან მოდი-ოდა, შემდეგ კორუფციის წინააღმდეგ სერიოზული შეტევის გამო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მექანიზმი დღემდე მოქმედებს და მხოლოდ ამ მანქანამ შეძლო ის, რომ ბიუჯეტი არ სრულდებოდა, პენსიები და ხელფასები იყინებოდა და ამის შეცვლა მოხერხდა, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა კორუფცია, სამწუხაროდ, ისევ აქამდე მივალთ, მაგ-

რამ, არა მგონია, ეს დიდხანს გაგრძელდეს.
— როდესაც ამბობთ, რომ არ გგონიათ, ეს დიდხანს გაგრძელდესო, ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

— ჩრდილოეთ კორეასა და ასეთ ქვეყნებშია ასეთი მექანიზ-მები, რაც ჩვენთან ხდება. ავიღოთ რკინის სალტო, რომელსაც ქანჩს

უჭერს გახარია, რადგან ეს დავალება აქვს, მაგრამ ბოლოს ტყდება. აქამდე თითქმის მისულია, შესაძლოა, თვითონ ვერ ხვდება, მაგრამ, რასაც ივანიშვილი აკეთებს, ეს ასეა. 20-21 ივნისის ღამეს გადაჭედილი იყო რუსთაველი და ეს ბიჭები, რომლებიც გმირები არიან, რადგან ქვეყნის რუსეთის გავლენისგან გათავისუფლებისთვის იბრძვიან და ეს ხალხი ხელისუფლებამ დაიჭირა. ამ რკინის სალტეს იმხელაზე მოუჭირა 21 ივნისს, რომ კიდევ ერთი გადაჭერა მას აუცილებლად მიიყვანს გატყდომამდე. ეს მაძლევს დიდ რწმენას, რომ პრაქტიკულად დაშინება უკუშედეგს მოიტანს. გავრილოვის ღამე იყო დასტური, რომ ის ვერ იყო კარგი მინისტრი. გავრილოვის ღამე მაინც შევა

1 P2424W3 Jajakan Jen

ბიძინას ჰგონია, რომ სახელმწიფო თვითონ არის. ამაში ღრმად ცდება. სახელმწიფო დარჩება, განვითარდება სწორედ პროდასავლური მიმართულებით. ამას უშლის ხელს "ქართული ოცნება" და ამ პროცესს აზიანებს

ისტორიაში, ჩვენ არ ვიქნებით? სხვა თაობა დაარქმევს სახელს. ამ დღეს საქართველოს რუსეთისთვის ჩაბარების ბედი წყდებოდა და ამ ახალგაზრდებმა გადაარჩინეს. ამის გამო დაიჭირეს ირაკლი ოქრუაშვილი ამ გამოგონილი ბრალდებით.

პოლიციის კარგმა უფროსმა ყოველთვის იცოდა, რომ ხელი არ უნდა გაარტყან დაკავებულს, იმიტომ, რომ როდესაც ხელს გაარტყამენ, მას ცემის უკვე აღარ ეშინია. საქართველოს მოსახლეობას ხელი უკვე გაარტყეს და მათ ცემის უკვე აღარ ეშინიათ.

- პოლიტპატიმრების თემაზე რა მოლოდინი გაქვთ? მოახლოებულია ოქრუაშვილის სასამართლო და რას ელოდებით?

სანამ ეს ასეა და დაშინების პოლიტიკაა, სასიკეთოს არაფერს ველოდები. პრაქტიკულად, გახარიამ დაიჭირა ოქრუაშვილიც და ეს ახალგაზრდებიც. გახარიამ ამოატრიალა ეს საქმე. მან დაიჭირა ეს ბიჭები და ამით თავისი თავი "გაპრავებული" ჰგონია – ვინც ჩაიდინა ეს, ვინც სისხლის გუბეები დააყენა რუსთაველზე და ვინც თვალები დასთხარა. თუ ეს ბიჭები გამოშვებული იქნებიან, მაშინ, დარწმუნებული ვარ, გახარიას დაჭერის საკითხი დადგება, ანუ ყველას გაახსენდება, რაც ჩაიდინა გახარიამ, ამდენად, მათ გამოშვებას არ ველოდები.

– ანუ რეალურად შურისძიება მოქმედებს?

– რეალურად შურისძიება მოქმედებს და, სანამ გახარია ამ ჭკუაზეა, რომ ის არის ამ ქვეყნის მმართველი, არ ველოდები რაფერს, რაც სამართლიანია, რაც სიმართლეა და სწორია. შესაბამისად, მოლოდინი იქნება ისეთი, როგორი გადაწყვეტილებაც მიიღო ბიძინამ. ცუდი პრემიერი ჰყავს ქვეყანას და, შესაბამისად, შედეგებიც ცუდი იქნება.

- ელოდებით, როშ არჩევნების დროსაც დაპირისპირებისა და შურისძიების პოლიტიკა იქნება? ღარიბაშვილის მინისტრად დაბრუნება ამაზეც ხომ არ მეტყველებს, რომელიც ასოცირდება შურისძიებასთან და მის დროს გაჩნდა პირველი ნიშნები?

– ღარიბაშვილი ყველაზე ხისტი იყო თავის გამონათქვამებში, იმდენად, რომ თავის პარტიაშიც კი აღიზიანებდა ზოგიერთ პოლიტიკოსს. ახლაც პირველი დღეებიდანვე პოლიტიკური ორგანიზაცი-ები "შეამკო" სხვადასხვა სახელით, ერთს სექტა უწოდა, მეორის სხვადასხვა სახელით, ერთს სექტა უწოდა, მეორის განადგურება მოინდომა, მესამის მოსპობა და ა.შ. ეს მისი სტილია და ამიტომაც უყვარს განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილს. შესაბა-

მისად, ამიტომაც დააბრუნა, რომ სჭირდება, ზედმეტად ხისტი იყოს მიდგომა ოპოზიციის მიმართ. შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარე რომ გასწავლის მთელ ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომ ოპოზიცია მტერი არ არის, ესეც არაფერს ნიშნავს მათთვის. ესენი გაიძახიან რადიკალიზაციას, თითქოს ამას ვიღაც ჩრდილოკორეელი ახდენდეს. ამას ყოველთვის ხელისუფლება ახდენს, ხელისუფლება, რომელსაც უნდა ჰქონდეს დიალოგი და თან-ხმობა ამაზე. ხაზს ვუსვამ, ხელისუფლება. ოპოზიცია ვერ იქნება ამაზე პასუხისმგებელი. ხელისუფლება ხელს სხვაგან იშვერს. ლარის კურსი ოპოზიციის ბრალია, სიღარიბე და კორუფციაც, რომელიც თავიდან ბოლომდე

თვითონ დანერგეს, ესეც ოპოზიციის ბრალი ყოფილა და ა.შ. ვისმენთ ამ სისულელეებს და არა აქვს მნიშვნელობა, როგორი რანგის დელეგაცია რას იტყვის. ახლა ევროპიდან და ამერიკიდან მაღალი რანგის დელეგაცია იყო ჩამოსული და იქაც რაც ითქვა, ამის სხვანაირად ლაპარაკი დაიწყეს.

რას უნდა მივაღწიოთ, როდესაც საქართველო საერთაშორისო ყველა დღის წესრიგიდან გამქრალია. "დოიჩე ველე" საკმაოდ ავტორიტეტული გამოცემაა და პირდაპირ წერს გახარიაზე, როგორც მოსკოვის კაცზე. მინიშნება ხომ არ არის, პირდაპირ წერს, რომ ოლიგარქმა ივანიშვილმა მოსკოვის კაცი გახარია დასვა და ხელისუფლება ამბობს, გუგლში ვერ ვიპოვეთ და ასეთი სტატია არ იძებნებაო.

– ეს ინგლისურენოვანი ვერსიის სათაური იყო, გერმანულენოვან ვერსიაში კი "ლუფთჰანზას" მენეჯერად არის მოხსენიებული და ალბათ ეს იგულისხმეს.

- ხელისუფლების ქმედებები, უბრალოდ, სასაცილოა. ეს ის ხალხია, რომ რა მტკიცებულებებიც არ უნდა დაუდო, მათ თავში აქვთ ერთი რამე, რომ ხელისუფლება შეინარჩუნონ. რაც არ უნდა აკრიტიკოს დასავლეთმა, ცდილობენ, გამოიყენონ გახარიას საში-ნელი განცხადება, რომ მას იმიჯი არ აინტერესებს. ამბობს, რომ არ აინტერესებს, რას იტყვიან მასზე, მისთვის მთავარია, ივანიშვილს ხელისუფლება შეუნარჩუნოს და მისი მისია ეს არის.

დოიჩე ველეს სტატიით ხომ არ გამოდის ისე, რომ უკვე არა მხოლოდ ხელისუფლებას, ქვეყანასაც იმიჯი ელახება, როცა გახარიას "რუსეთის კაცად" მოიხსენიებენ?

– ხელისუფლებები იცვლებიან, მაგრამ ამათ ეს არ ესმით. ბიძინას ჰგონია, რომ სახელმწიფო თვითონ არის. ამაში ღრმად ცდება. სახელმწიფო დარჩება, განვითარდება სწორედ პროდასავლური მიმართულებით. ამას უშლის ხელს "ქართული ოცნება" და ამ პროცესს აზიანებს. საქართველომ თავისი სახელი საუკუნეების განმავლობაში მოიპოვა და, ამდენად, დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის ახალი ელჩის ჩამოსვლით ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება. "ოცნება" აძლიერებდა ნარატივს, რომ საქართველოს მიმართ დასავლეთის მხარდაჭერა შესუსტებულია, იგივე თითქოს არ ეგონათ, რომ ამხელა ხმაური ატყდებოდა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით.

ეს არის მათი მძიმე შეცდომა. აუცილებლად იქნება მხარდაჭერილი ანაკლიის პროექტიც და საქართველოს სახელმწიფოს მხარდაჭერაც, რაც ავტომატურად ხელისუფლების მხარდაჭერას არ ნიშნავს. ეს ამათ ჰგონიათ ასე, თორემ სხვადასხვა რამეა. დიდი ხანია, ხელისუფლებას მხარდაჭერა არ აქვს და ამას მუდმივად ვხედავთ და ვგრძნობთ, მაგრამ ეს არჩევნებზე უნდა მოხდეს და არჩევნებზე ისინი ამას აუცილებლად იგრძნობენ. იძალადებენ ამომრჩეველზე, მაგრამ ქართველი ამომრჩევლის პოზიცია უკვე შეცვლილია და ამას მალე გამოკითხვებშიც ვნახავთ

## "ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲦ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ ᲨᲔᲐᲤᲣᲠᲗᲮᲐ"

ნონა ცაბაძე

მამუკა გამყრელიძე: "პოლიტიკურ ოპონენტებზე ზენოლა გაძლიერდება"

"ახალი თაობის" კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს. – ბატონო მამუკა, ვისმენთ შეფასებებს,

რომ ივანიშვილს ქვეყანა პოლიციურ რეჟიმზე

გადაჰყავს და ასე ემზადება 2020 წლის არჩევნებისთვის. რას იტყვით თქვენ? – ამ ყველაფერს პერმანენტული ხასიათი ნამდვილად ექნება. ჩვენ ერთ რამეს უნდა ვაქცევ-დეთ ყურადღებას, ხელისუფლებამ გვიჩვენა, რომ ნებისმიერი ცოტა მძაფრი გამოსვლა დაშლილი იქნება ძალიან მკაცრად. თვალების დათხრა – ეს

შეიძლება სიმბოლურ აქტადაც განვიხილოთ. - ანუ თუ დასჭირდათ, იმავეს გაიმეორე-

რა თქმა უნდა, გაიმეორებენ იმავესა და უარესს. ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხისგან რეაგირება არ არის ისეთი აქტიური. ხალხი რეაგირებს, მკაცრად. მაგრამ არასაკმარისად

– ხელისუფლებას მაინც გასდის?

– ნამდვილად გასდის. სწორი სიტყვაა. არიქა, დაგვიხურეს ტელევიზიაო, იყო ერთი ამ-ბავი, რისთვის უნდათ ტელევიზია, თვითონ არ იციან, რა დღეში არიან?! ტელევიზიიდან ვიღაცა ეტყვის, ის გულს მოიფხანს და ამ გულის მოფხანით დამთავრდება ყველაფერი, აღარც აქციაზე მივა, დაეზარება და ჩვენთან აქვთ მერე პრეტენზიები, შენ, პოლიტიკოსმა, რატომ არ დაიცავი ჩემი ხმებიო და რანაირად დავიცვათ, თუ საზოგადოება არ იქნება აქტიური.

– რამდენად რთული პერიოდი გველოდება არჩევნებამდე? ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნების გზით უნდა გაისტუმროს ეს ხელისუფლება. რამდენად გამოუვათ?

- მე ვთვლი, რომ არჩევნებს არა აქვს ალტერნატივა. ეს აქსიომაა. რევოლუციები გვეყო. რევოლუცია პოლიტიკურ ლექსიკონში ხელისუფლების ძალადობრივი გზით გადაგდებას ნიშნავს და ჩვენ ძალადობრივი არანაირად არ გვაწყობს. ეს უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლად. მეორე ამბავია, შენ თუ არ ხარ კმაყოფილი არჩევნების შედეგებით, თუ თვლი, რომ



არჩევნები წაგართვეს, შენი ხმები დაიკარგა, მაშინ გამოდი და დაიცავი შენი ხმა. მარტო პოლიტიკოსი ვერაფერს დაიცავს, ხალხმა უნდა დაიცვას საკუთარი ხმა! ჩვენს საზოგადოებაში კი ეს ამბავი ტაბუდადებულია, შენ პოლიტიკოსი ხარ და არავისზე არაფერი უნდა თქვა, საზოგადოება არ უნდა გააკრიტიკო. მე ეს არ მესმის. ამომრჩეველს არ უნდა აწყენინოო – რას საყვედურობთ საზოგადოებას?

– არ ვაწყენინებ, ბატონო, მე, უბრალოდ, ვეუბნები, როდესაც ასეთი ამბავია, გახარიას პრემიერმინისტრობას განიხილავდა პარლამენტი რამდენიმე დღე და ამ დროს არ უნდა გამოსულიყო ზღვა ხალხი?! მაინცდამაინც მე, პოლიტიკოსმა უნდა მოვახდინო აქტივისტებისა და პარტიული რეზერვის მობილიზება?! მომკალით და არ მესმის ეს მიდგომა. რატომ მასობრივად არ გაუჩნდა ხალხს პროტესტის გრძნობა?! რატომ თვითონ არ გამოვიდნენ? რად უნდა ამას ორგანიზება. კაცმა თვალები დაგთხარათ და პრემიერად გინიშნავენ, სახეში შეგაფურთხათ ივანიშვილმა, სილა გაგაწნათ, რატომ არ გამოხვედით თქვენი უფლების დასაცავად?! გახარიას კანდიდატურას რომ განიხილავდა პარლამენტი და კენჭს უყრიდა, პარლამენტის წინ ზღვა ხალხი

უნდა მდგარიყო. რატომ არ დადგა იქ 100 ათასი

კაცი?! რატომ არ უთხრეს ხელისუფლებას, ხელი-

სუფლებავ, ნუ დაგვთხრი თვალებსო?! ამის მა-

გივრად ჩვენ იქ მივიღეთ 200-300 კაცი, ცხვრებით პერფორმანსი და ამით დამთავრდა ყველაფერი. ეს ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო საზო-ล้งอุทาธิง งท์กษ์ ๆชิธีกตุงทึก. บงชิทปุงตั้งปู่ที่ บงชิทลงდოება თუ არ არის მომზადებული სწორი ნაბი-ჯების გადადგმისთვის, მაშინ ნურც პოლიტიკურ პარტიებს მოვთხოვთ ნურაფერს, რადგან ეს პოლიტიკური პარტიებიც ამ საზოგადოების წიაღში იბადებიან.

– გახარია ახსენეთ და დასავლური მედია ასე გამოეხმაურა მის გაპრემიერებას, მოსკოვის კაცი დანიშნეს ქვეყნის პირველ პირადო. თქვენ რას იტყვით?

ამის მტკიცებულება რომ მქონდეს, მაშინ ღიად ვიტყოდი, რომ დიახ, ის მოსკოვის მიერ არის დანიშნული. თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ასეა. ამ ეჭვის საფუძველს კი მაძლევს მისი ბიოგრაფია, წარსული მოღვაწეობა, მისი შემოსვლა როგორ მოხდა საქართველოში. ეს ყველაფერი გარკვეულ ეჭვს ბადებს. ასე პირდაპირ კი ხელს ვერ დავადებ ვერავის. ვერც ივანიშვილს დავადებ ასე ლიად ხელს. თუმცა გვაქვს ეჭვები და ამის თქმის საფუძველი. საქართველოში მათმა გაკეთებულმა საქმეებმა გვიჩვენოს, ვინ ვისი კაცია. ამ ქვეყნის კაცი ხარ მაშინ, როცა შენი გაკეთებული საქმე

შენს ქვეყანას წაადგება. – გახარიას გვარი არჩევნების მოგებასთან ასოცირდება, ამიტომ გახდა ის 2020 წლის მთავარი ფიგურაო. რატომ ასოცირდება მისი გვარი არჩევნების მოგებასთან, რამდენად უნდა ჰქონდეს "ოცნებას" მისი იმედი, რომ წარმატებას მოუტანს მათ გახარია?

– მე რაც ვნახე მისი ნამუშევარი, ზუგდიდ-ში და საპრეზიდენტო არჩევნების დროს მან "ეფექტურად<sup>"</sup> იმუშავა. ეფექტი მოიტანა, მაგრამ ეს კარგი ნამდვილად არ იყო. თუ რამე შეიძლებოდა, იმ არჩევნებში ყველაფერი ჩააბეს. პოლიცია და კრიმინალი ერთად მუშაობდა და ეს ძალიან მძიმე სანახავია. ძალიან დამთრგუნველია ამ ყველაფრის წარმოდგენა. სამწუხაროდ, ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე დ ამას ძალიან კარგად งชฤศชฤชิบ გงชงศ์กง

– ექსპერტულ წრეებში უკვე საუბრობენ იმაზეც, რომ გახარია აუცილებლად გახდება

ივანიშვილის თავისტკივილი. რატომ ფიქრობენ

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება, მით უმეტეს, თუ გახარია მართლა რუსეთის კაცია, ის ძალიან სერიოზული თავისტკივილი გახდება ივანიშვილისთვის.

– ივანიშვილსაც ხომ რუსეთის კაცად მო-

იაზრებთ და გახარია მას არ ემორჩილება? – რატომ უნდა დაემორჩილოს. მე ჩემი გამოცდილებიდან მოგახსენებთ, რუსებს ახასიათებთ ერთი რამ – უძახიან "ატრაბოტანი მატერიალ" ვიღაცას, ვინც უკვე გამოიყენეს და მეტად ვეღარ იყენებენ. როგორც ჩანს, ივანიშვილმა მიაღწია იმ კონდიციას, რომ მისი გამოყენება უკვე შეუძლებელია და ახლა სჭირებათ უფრო მკაცრი ხელი, უფრო ხისტი, უფრო ყველაფერზე წამსვლელი და გახარია სწორედ ასეთია, ძალიან ხისტია. ჯერ ერთი, როგორ უნდა მისცე შენს თავს უფლება, რომ პოლიტიკურ პარტიას მიმართო – მე თქვენ დაგამთავრებთ! რა უფლება აქვს ამის?! რა უფლება აქვს, რომ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ამდენი წევრი ჰყავს, ამდენი ამომრჩეველი ჰყავს, მიმართოს და უთხრას, მე თქვენ დაგამთავრებთო. ეს აბსოლუტურად მიუღებელია. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ გომელაურის უწყებაში იქმნება ანონიმური შეტყობინების პლატფორმა. ერთი მხრივ, ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძალიან კარგი მეთოდი კრიმინალთან ბრძოლის, მაგრამ ვხედავთ, რომ კრიმინალს კი არ ებრძვიან, პირიქით, ხდება კრიმინალის წახალისება. მივიღებთ პოლიტიკურ სუს-ს და პოლიტიკურ პოლიციას. აქედან

გაგრძელება მე-4 გვერდზე



#### **903N406**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს. ტელ.: 598-43-98-57



## ᲞᲔᲒᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ: "ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

გულიკო ბალაძე

რას უნდა ველოდოთ მთავრობის საკადრო ცვლილებებისაგან? რატომ ეცნენ გახარიას ნაცები მოსასპობად? როგორი ფიგურაა კალა-ปฏ "ปุงค์ตულ คนูอีกูอังปิก? คั่งผูกปังคั้ กุลค์ปงัตกิจัง კაზინოების რეკლამა და ვის ინტერესებში შედის კაზინოების საქმიანობა საქართველოში? – "ახალი თაობის" კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** პასუხობს.

– ბატონო პეტრე, რა ელოდებით იმ ცვლილებებისაგან, რომლებიც განახორციელა ბიძი-ნა ივანიშვილმა სამთავრობო ხაზით?

- ბევრს არაფერს ველოდები თვისობრივად ახალს, ვინაიდან მართვის მანკიერი პატრონკლიენტური სისტემა არ შეიცვლება და ვერ შეიცვლება, თუმცა შცირე ცვლილებები მოსალოდნელია.

– ამ სიტუაციაში თვითონ პიროვნებები არაფერს განსაზღვრავენ? ვთქვათ, პრემიერად ვინ იქნება, მნიშვნელობა არ აქვს?

– მნიშვნელობა აქვს, მაგრამ – მცირე. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება. მცირე ცვლილებები სახეზეა და კიდევ გაგრძელდება. გახარიამ პირდაპირ უთხრა ნაცებს: "მე დაგამთავრებთ თქვენ'

– მთავარი ეს არის?

მთავარი ისაა, რომ ივანიშვილმა ის ადამიანი შეარჩია, რომელსაც შეუძლია, მტკიცედ ისაუბროს, გარკვეული პატივისცემა და ნდობა მოიპოვოს მოსახლეობის ნაწილში. შეგახსენებთ, რომ ივანიშვილის გარდა მხოლოდ კალაძეს აქვს თავისი რეიტინგი და პოპულარობა მოსახლეობაში. ქოცების არც ერთ წევრს ეს არ აქვს.

გახარია პირველი გამოჩნდა, რომელსაც აქვს რეიტინგი და პოპულარობა. ნაცებიც გახარიას ამიტომ ეცნენ მოსასპობად. ნაცებს ეშინიათ, რადგან "ოცნებაში" ხალხისთვის თავისთავად პოპულარული ადამიანი ჩნდება, რომელსაც გარკვეული რეიტინგი ექნება. ამ მხრივ გახარია, რა თქმა უნდა, უკეთესია

– თქვენს განცხადებებში ერთი ფრაზა დავიჭირე: ნაცები გახარიას ეცნენ მოსასპობა-

– პოლიტიკურად მოსასპობად. ნახეთ, რა ხდება? გავიხსენოთ, ვთქვათ, კალაძე, რომელმაც თვითონ იყარა კენჭი. კენჭს რომ იყრიდა, ბოლო მომენტში თქვა. ივანიშვილს კი არ ელაპარაკა, ვიღაც შეაგზავნა. ივანიშვილმა თქვა, წინააღ-



მდეგი არ ვარო. კალაძემ თვითონ იყარა კენჭი, თვითონ ჩაატარა საარჩევნო კამპანია და გაიმარჯვა. გახსოვთ, ივანიშვილი რომ მივიდა არჩევნებზე ხმის მისაცემად, მთელი ბატალიონი ჟურნალისტები იდგნენ, ყველა ეკითხებოდა, რას იტყვითო, მაგრამ ივანიშვილმა ზურგი შეაქცია და წავიდა, ხმა არ ამოუღია. დღემდე კალაძეს მერად არჩევა არც მიულოცა.

– ანუ ივანიშვილი კალაძეს არ სწყა-

– გარკვეული განხეთქილება მოხდა, გახსოვთ, კალაძემ როგორ დატოვა ენერგეტიკის სამინისტროში თავისი მოადგილე ელოშვილი, ენერგეტიკის სამინისტროსაც ვაკონტროლებ და მერიაშიც საქმეს გავაკეთებო. ამ დროს ამის გამო ენერგეტიკის სამინისტრო საერთოდ გააუქმეს და კალაძემ ელოშვილი თავისთან წაიყვა-

გახსოვთ, შემდეგ ჟურნალისტები კალა-ძეს რომ ეკითხებოდნენ, ივანიშვილმა მოგილოცათ თუ არაო, კალაძე ეუბნებოდა, რას ჰქვია, მე აგერ ბერლუსკონიმაც კი მომილოცაო. ეუბნები-ან, ბერლუსკონიზე კი არ გეკითხებით, ივანიშ-ვილმა მოგილოცათ თუ არა? არსად, არც ტელევიზიით მიულოცავს ივანიშვილს კალაძისთვის მერის არჩევნებში გამარჯვება. ესოდენ მნიშვნე-ლოვანი ფიგურაა პარტიაში, რომელმაც თბილისის მერის პოსტზე კენჭი იყარა და მერი

– ივანიშვილს ხომ არ უნდოდა, კალაძეს დახმარების გარეშე გაემარჯვა და ძლიერ ფი-გურად გამოჩენილიყო?

– სწორედაც რომ არ უნდოდა. თბილისში ცნობილია, რომ არ უნდოდა, მაგრამ, ვინაიდან კალაძეს, სხვებთან შედარებით, თავისი პირადი რეიტინგი მაღალი აქვს, ამიტომ ანგარიშს უწე-

ვინაიდან კალაძეს სხვებთან შედარებით თავისი პირადი რეიტინგი აქვს მაღალი, ამიტომ გუნდი ამის გამო ანგარიშს უწევს. კალაძე პატრონყმური სისტემიდან ამოვარდნაა, დამოუკიდებლობის ხარისხი დიდი აქვს, რადგან არჩეულია საკუთარი საარჩევნო კამპანიის შედეგად და არა ქოცების დახმარებით. სალომე ზურაბიშვილი ქოცებმა გაიყვანეს მთელი თავისი რესურ-

– გახარიას გაპრემიერების კონტექსტში კალაძეს რატომ ახსენებთ?

- იმიტომ ვახსენებ, გახარია შს მინისტრად რომ გამოჩნდა, ხალხმა დაინახა (ხალხი ხომ არ ხედავს, შიგნით როგორ მუშაობს, შიგნით რა ხდება, ამის გარკვევა მხოლოდ ექსპერტს შეუძლია) მისი ტელეგენურობა და ხალხში საუბარი დაიწყეს: აი, გამოჩნდა მტკიცე, ძლიერი ადამიანი, იქნებ სიტუაციას მოუაროსო.

ივნისში რამდენიმე ადამიანი მეუბნებოკაცო, ის "შტურმავიკები" პარლამენტში შეეშვა, მაშინ გახარია კი უნდა გადამდგარიყო, მაგრამ კაცმა იმდენი ქნა, არ შეუშვა ნაცები და მათი "შტურმავიკები" პარლამენტში და აწი რატომ უნდა გადადგესო.

– თვითონ გახარიამაც იგივე თქვა პარლა-მენტის სხდომაზე, პარლამენტში შეჭრას თუ შეძლებდნენ, მაშინ უნდა გადავმდგარიყავიო.

– საერთოდ, ხალხი ამას რომ ამბობს, ამის შესახებ ინფორმაცია გახარიას მიუვიდოდა. შეიძლება, თავისი აზრიც კი არ იყოს, არამედ მოსმენილი ჰქონდეს. მე ბევრისგან მოვისმინე, ტაქსის მძღოლმა მითხრა, გაზეთების გამყიდველთან საუბრობდნენ და მეც ჩამრთეს საუბარში: ხომ მართალია, რომ შეჭრილიყვნენ, მაშინ უნდა გადამდგარიყო, პარლამენტის შენობა რომ დაიცვა, რატომ უნდა გადადგესო. საერთოდ, პარლამენტში შეჭრა და რევოლუციები ნაცების პროფესიაა.

\_ ნაცები ამბობენ, რომ უპატივცემუ<u>ლ</u>ობა გამოიჩინეს იმ ხალხის მიმართ, ვინც ივნისის მოვლენების დროს იმ ლამით დაზარალდა.

ნამდვილად შეცდომა დაუშვეს, მათ შორის, ტრაგიკული შეცდომები, გადაცდენები. ვინმემ ამიხსნას, რა ჰქვიათ იმ პოლიციელებს, რომლებმაც ფოტოკორესპონდენტ მურადოვს 11 რეზინის ტყვია ესროლეს ზურგში.

– ამიტომ ოდნავადაც ვერ შეარყიეს ნაციონალებმა გახარიას რეიტინგი?

– რეიტინგის შერყევის ელემენტები ნამ-

დვილად იყო – ივანიშვილის პიროვნებაში?

– ივანიშვილის თვალში, პირიქით, გახარია მხოლოდ გაძლიერდა. შარშან გაზაფხულზე ვრცელ ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა, მე რომ დავაანონსე პარტიაში ჩემი გადაწყვეტილება, პარტიის თავმჯდომარედ ვბრუნდები-მეთქი, ჩემი დაბრუნება ძალიან ბევრმა ჩემმა თანაგუნდელმა არ მოინდომაო.

*– მგონი, ამას კვირიკაშვილზეც ამბობდა.* – ზუსტად გვარი არ მახსოვს, მაგრამ

ივანიშვილმა თქვა, ყველაფერი გააკეთეს, რომ არ დავბრუნებულიყავი, მაგრამ რესურსი არ ეყოთ, ჩემი დაბრუნება რომ არ დაეშვათ და დავბრუნდიო. როცა გუნდში ასეთი მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, ივანიშვილს მთავრობაში, თანაც მთავარ პოზიციებზე, პრემიერად და ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელებად ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებიც მისი ერთგულნი არიან.

ღარიბაშვილის დაბრუნებაც ამას უკავშირდება, თუმცა ღარიბაშვილი მწარედ გააკრიტიკა, როცა პრემიერობიდან გაუშვა.

– ივანიშვილს რომელი კადრიც არ მოსწონს, ის ვერ იმუშავებს მის ხელისუფლებაში. კალაძე ივანიშვილისა და "ოცნების" მხარდაჭერით არის არჩეული თუ არა, მაინც ივანიშვილის ხელისუფლების წევრად ითვლება. როცა თქვენ ამბობთ, ივანიშვილმა არ მიულოცაო, მაშინ როგორ ხდება, რომ კალაძე ისევ პოლიტსაბჭოს წევრია?

– იმიტომ ხდება, რომ კალაძე არ არის დასანიშნ თანამდებობაზე. კალაძემ დიდი ძალა შეიძინა იმით, რომ ის თბილისმა აირჩია.

– ბატონო პეტრე, პოლიტსაბჭოს წევრობა, გარკვეულწილად, ხომ არის დასანიშნი თანამდებობა?

– "ოცნება" მოიგებდა, კალაძე პოლიტსაბ-ჭოდან რომ გაერიცხათ?

— არა, რა თქმა უნდა. — ივანიშვილს პრობლემა არ აქვს, მთავრობის წევრები ცვალოს, მაგრამ საქართველოში ერთადერთი პოპულარული, "ოცნების ბადი სახე, კალაძე, პოლიტსაბჭოში რომ არ შეუშვა, შენ თვითონ ძალიან წააგებ. ამიტომაც მას ანგარიშს უწევენ. კალაძეც დაპირისპირებაზე არ მიდის.

– გახარიას პრემიერობით ხალხი წააგებს თუ მოიგებს?

– აქ კი თითქმის არაფერი შეიცვლება.

## "ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲦ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ ᲨᲔᲐᲤᲣᲠᲗᲮᲐ"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დასკვნები ასეთია, რომ პოლიციურ სახელმწიფოში მოგვიწევს ცხოვრება, პოლიტიკურად პოლიციურ სახელმწიფოში. ძალიან მახინჯი სისტემა გვაქვს, ძალიან.

– ძალოვან უწყებებში დაინიშნა ივანიშვილის ერთგული ხალხი. ამბობენ რომ უზენაეს სასამართლოსაც თადუმაძე ჩაიბარებს. მისცემენ გახარიას იმის უფლებას, რომ ძალოვანი უწყებები

— არა მგონია. მე ვხედავ ასე, რომ ივანიშვილი "ვიღაცის" ნებას დაემორჩილა, დანიშნა პრემიერად გახარია, მაგრამ გარშემო შემოულაგა მისი ერთგული ხალხი – ღარიბაშვილი, გომელაური, თადუმაძე. ეს ხალხი, არა მგონია, პირდაპირ დაემორჩილოს გახარიას. მათი უფროსი ივანიშვილია, მასთან არიან ანგარიშვალდებულნი. აქ მთავარია, ის "ვიღაც" ვინ არის და გახარიას ზურგს უკან ვინ დგას.

– ვიღაცაში რუსეთი იგულისხმეთ?

- სავარაუდოდ, ასეა, დაემორჩილა ვიღაცის ნებას, მაგრამ თამაშობს საკუთარი წესებით.

– ამით რას მივიღებთ საბოლოო ჯამში?

— ახლა ყველზე მთავარია, როგორ მივალთ საპარლამენტო არჩევნებამდე. პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ზეწოლა გაძლიერდება. ფაქტია, რომ ივანიშვილს აწყობს, მიიღოს ჭრელი პარლამენტი. მისი ფულის მიმართ იქნება გარკვეული დამოკიდებულება და ამ მღვრიე წყალში ის მარტივად შეძლებს სიტუაციის გაკონტროლებას.

– ივანიშვილი ამ ახალი გათამაშებით ვაბანკზე წავიდა, მისი ბოლო სვლააო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ. რამდენად იზი-

– არ ვიზიარებ. იმავე მინისტრების ტრიალს თუ გულისხმო-ბენ, ეს იმის ბრალია, რომ არ ჰყავს კადრები. რა პრობლემაა, კარუსელს გაიმეორებს ბევრჯერ. ვაბანკია, როდესაც იმდენად მძიმე სიტუაცია გაქვს, რომ სხვა გამოსავალი არ გაქვს. ხედავთ, რომ ივანიშვილს სხვა გამოსავალი არ აქვს?! მე ვერ ვხედავ. ის, რაც გარშემო ხდება, არის მხოლოდ და მხოლოდ ფონი. მოქმედება კი უნდა ჩანდეს საზოგადოებაში. ამ მოქმედებს ვერ ვხედავ. ხალხში ქმედება არ ჩანს

– რა სახის ქმედებას ელოდებით?

– მთავარი საზოგადოებაა. ის უნდა იყოს აქტიური. ამას ვერ ვხედავ. აქ ორი მომენტია, როგორც ჩანს, ხალხს პოლიტიკური პარტიების იმედი არ აქვს და მეორე, როგორც ჩანს, შეშინდნენ. იქ ის დაიჭირეს, იქ ის, ვაითუ, მეც მომადგნენო. ვხედავთ, რამდენი ხალხი დაიჭირეს. ცდილობენ, მოწინააღმდეგე სასტიკად დასაჯონ. ერთი ერთში რუსული თემაა, იქაც ასეა. ხალხი სამზარეულოებში დულს. გახარიას დანიშვნა ხომ სახეში შეფურთხება იყო ხალხისთვის. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. უმძიმეს ქმედებას

სდებენ ბრალად გახარიას. ხომ უნდა დაფიქრებულიყო ივანიშვილი, რომ მოდი, არ ვაწყენინებ ხალხს და დავნიშნავ არა გახარიას, არამედ სხვას, მაგრამ ბოდიში და ფეხებზე დაიკიდეს ხალხის აზრი, ან თავად ივანიშვილმა დაიკიდა, ან მასზე ძლიერმა ვიღაცამ. ეს იყო მართლა შეფურთხება საზოგადოებისთვის და საზოგადოებამაც გადაყლაპა. ე.ი. გაუვიდათ, ე.ი. ამას კიდევ გააკეთებენ. აი, რას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ ვერ ვხედავ საზოგადოების ქმედებას და აქტიურობას. მერე მოვთხოვთ პოლიტიკურ პარტიებს, რატომ არ დაიცავით ჩვენი ხმებიო. რით დავიცვათ, რა მეთოდით რა ინსტრუმენტით?!

– მამუკა ხაზარაძეც აქტიურობს შეძლებისდაგვარად. ის მალე პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას გეგმავს. მძიმეა ხელისუფლებისთვის ექსპერტიზის დასკვნაო, აცხადებს ხაზარაძე. რას ელოდებით ოპოზიციურ ველზე, მისცემენ მას უფლებას, შემოვი-დეს პოლიტიკურ თამაშში?

- თუ ხაზარაძე სერიოზულ დათმობებზე არ წავიდა, ძალიან შეუშლიან ხელს. მე ერთხელ ვთქვი, რომ არ მჯერა მისი და ძალიან ეწყინათ ჩემს მეგობრებს. სანამ საქმეს ვერ ნახავ, ვერაფერს დაიჯერებ. ახალი ძალა, რომელიც მოდის ბიზნესიდან, ეს ვაბანკზე წასვლაა, უკან რომ აღარაფერი დაგრჩენია. ხაზარაძის შემთხვევაში ვაბანკს ვერ ვხედავ, არც წავა და არც შეიძლება, რადგან მის უკან უამრავი ხალხია. ან ვაბანკი, ან დათმობები ხელისუფლებასთან. უფრო ეს მეორე ვარიანტი იქნება.

#### ഭനമാക്കാര **ՎՅՍ**ՑՈ**Ե**ՈՆ **Ի**ՆՋՈმՇՆև



მარიამ მჭედლიშვილი

## "ხაჯიმბა არალეგიტიმურია" – რესპუბლიკის პრეზიდენტი ლეგიტიმუ-

თავიდანვე ცხადი იყო, რომ დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს ხაჯიმბას გამარჯვების შემთხვევაში ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოება ეჭვის ქვეშ დააყენებდა. მით უმეტეს, ამისათვის გამოიკვეთა სამართლებ-რივი საფუძველი. **8** სექტემბერს გამართული არჩევნების მეორე ტურის შედეგი გასაჩივრდა. აფხაზეთის პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და დეპუტატთა ჯგუფმა კი მოითხოვეს ხელახალი არჩევნების

ალხას კვიცინიამ პირადად გაასაჩივრა შედეგი ე. წ. უზენაეს სასამართლოში. ოფიციალუ რი მონაცემებით, ხაჯიმბამ მიიღო ხმების 47, 38 %, ხოლო კვიცინიამ – 46, 19%. კანონის თანახმად, გამარჯვებული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს კონკურენტისას და "ყველას წინააღმდეგ" მიცემულ ხმებს. აფხაზეთის ცესკომ შედეგებში საერთოდ არ გაითვალისწინა ბიულეტენები "ყველას წინააღმდეგ".

კვიცინიას მომხრეები, ასევე ფართო საზოგადოება, გამოცხადებულ შედეგს არ აღიარებს. დეპუტატთა ჯგუფი აცხადებს, რომ დასა-

ნიშნია ახალი არჩევნები.

რი უნდა იყოს. მას უნდა ირჩევდეს აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა, – აცხადებს ერთერთი დეპუტატი ბატალ ტაბაღუა.

აფხაზეთის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, ცესკო ვალდებულია, არჩევნები არშემდგარად გამოაცხადოს, ვინაიდან აუცილებელი ხმების რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა.

– საგიჟეთია. საით მივექანებით? – ასე ეხმაურებიან აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას მოქალაქეები.

სიტუაციის გარკვევას დაელოდა და ხაჯიმბას გამარჯვება მიულოცა საქართველოს სხვა საოკუპაციო რეჟიმის ლიდერმა ანატოლი ბიბი-

სიტუაცია ჯერ კიდევ მაშინ დაიძაბა, როცა ოპონენტები არამიზანშეწონილად მიიჩნევდნენ არჩევნების საკურორტო სეზონის დროს გამართვას. საოკუპაციო რეჟიმმა არ შეასრულა მოთხოვნა არჩევნების გაზაფხულზე გადაწევის

მაისში ყველაფერი თავდაყირა დადგა ხაჯიმბას მთავარი კონკურენტის, ასლან ბჟანიას დაუძლურების შემდეგ. აფხაზეთში ეჭვი არ ეპა-



რებათ, რომ ბჟანია და მისი დაცვა მოწამლეს, რათა ბრძოლის ველიდან მოეცილებინათ.

ოპოზიციისა და საზოგადოების ზენოლით არჩევნები ივლისის მაგივრად აგვისტოში გადმოიტანეს. ვინაიდან ბჟანიას მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, იგი "ამცახარას" ლიდერმა ალხას კვიცინიამ ჩაანაცვლა.

კვიცინია საარჩევნოდ ხელმძღვანელობდა ชิสูงอีกงน์ อียงค์ อุงสุฏศ์กิด อุง อีกนก นึ่งงศ์ผู้ฏูริโต ชิศิทธิ์რამით. ამ პროგრამის მიხედვით, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებებიც დასაცავია. მეორე ტურის წინ კვიცინიას გვერდით დადგა ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვა-

მეორე ტურის წინ გალელებზე გული აუჩვილდა ხაჯიმბას. მან გამოაცხადა, რომ ვრცელდება ცილისმწამებლური ინფორმაცია მისი მხრიდან გალის რაიონის მოსახლეობის თითქოსდა ჩაგვრის თაობაზე.

არადა, თავისი გაუსაძლისი მდგომარეობა აფხაზეთის ქართველებმა სხვებზე კარგად თვითონ იციან. აფხაზური პასპორტები მათ სწორედ ხაჯიმბას ინიციატივით გააუქმეს. უსაბუთო და მოქალაქეობის არმქონე პირები არჩევნებში ვერ მონაწილეობენ. ალბათ, ხაჯიმბას გათვლა ჰქონდა იმ ქართველებზე, რომლებიც აფხაზებად ჩაეწერნენ და პასპორტები მიიღეს.

ვენესუელას ხაჯიმბასთვის გამარჯვება ჯერ არ მიულოცავს, თუმცა ოკუპირებულმა რეგიონმა და ვენესულამ აღნიშნეს აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" აღიარების 10 წლისთავი, რომელიც 10 სექტემბერს შესრულდა.

ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში აფხაზეთისა და ვენესუელის საერთო ამოცანაა, სტაბილურობის შენარჩუნება და "სახელმწიფოების" სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.



## 62 6ᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲖᲚᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲞᲐᲒᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲔᲤᲐᲠᲓᲐ

ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება პროკურატურამ მოითხოვა. შუამდგომლობას ბრალდების მხარე მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლის საფუძვლებით ასაბუთებდა.

როგორც პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა განმარტა, ბრალდებულმა ისე ამარიანმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მან 62 წლის
ძალს კისრის არეში 4 ჭრილობა მიაყენა, ასევე
ჭრილობები მიაყენა გულ-მკერდის არეში და
თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა.

— შუამდგომლობით მივმართეთ საქალა-

— შუამდგომლობით მივმართეთ საქალაქო სასამართლოს და ვითხოვთ, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნას პატიმრობა, ვინაიდან არსებობს მისი მხრიდან მიმალვის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების და გარკვეული მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხეები, — განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, აღნიშნული ბრალდებისთვის საკმარისი მტკიცებულებები არსებობს.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს.

დებული აღიარებს დანაშაულს.
– დღეის მდგომარეობით, მოპოვებულია



მტკიცებულებების ერთობლიობა, რაც საერთო ჯამში, დასაბუთებულია და საკმარისია პირის ბრალდებისათვის. მას ბრალად ედება განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულის სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. მტკიცებულებების კონკრეტიზაციასა და სიღრმისეულ განხილვას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ვერ ვიტყვი. ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, — განაცხადა პროკურორმა.

— 100 ლარის გამო მოკალით ორი შვილის დედა? — ასე მიმართა 62 წლის ქალის მკვლელო-ბაში ბრალდებულს მოსამართლე რომან ხორა-ვამ საქმეზე აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელო-ბისას. მოსამართლე მკვლელობის მოტივით და-

ინტერესდა და შესაბამისი კითხვით ბრალდებულს მიმართა.

– მე მაინტერესებს მოტივი, რატომ ჩაიდინეთ დანაშაული. ორი შვილის დედა 100 ლარის გამო მოკალით? – იკითხა მოსამართლემ.

გამო მოკალით? — იკითხა მოსამართლემ. მოსამართლის კითხვაზე ბრალდებულს პასუხი არ გაუცია.

როგორც კვირისპალიტრა.გე წერს, თავად მოკლულის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ სახლიდან ფული და 800 გრამამდე ოქროა

— — ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ის ძალიან განიცდის მომხდარს, უჭირს საუბარი და ამბობს, ვერ ამიხსნია, რატომ მოვკალიო. მისი თქმით, ძმის სახლში იმ დილით ფულის სასესხებლად მივიდა, ამბობს, რძალს 100 ლარი ვთხოვე, მაგრამ არ მომცა, უცებ რა დამემართა არ ვიცი, ტაბურეტი ავიღე და თავში ჩავარტყიო. ვერ ვხსნი მომხდარსო, — აცხადებს ადვოკატი.

ადვოკატის ინფორმაციით, 62 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებული მაზლი, ისე ამარიანი დათრგუნულია და მას გონზე მოსას-



ვლელად დრო სჭირდება. როგორც ბრალდებულის ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ აღნიშნა, გამოძიების ამ ეტაპზე ბრალდებული დანაშაულს აღიარებს, თუმცა შემდგომ პოზიციებზე და სტრატეგიაზე დაცვის მხარე მოგვიანებით ჩამოყალიბდება.

— ამ ეტაპზე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ძალიან დათრგუნულია და ბოლომდე არ იხსნება. ცოტა გონზეა მოსასვლელი. დღეს პოზიციაც კი ვერ დავაფიქსირეთ სასამართლოზე ფაქტობრი-ვად, ჩემი არაერთი შეთავაზების მიუხედავად, რომ მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება შეგვეთავაზებინა. ჩვენ არ გვქონდა მოლოდინი აქედან გამომდინარე, რომ სხვა აღკვეთის ღონისძიება იქნებოდა გამოყენებული, — განაცხადა მდინარაქემ.

#### ᲐᲕᲗᲐᲜᲦᲘᲚ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲛᲐ ᲒᲘᲠᲐᲝ ᲒᲐᲦᲐᲘᲮᲐᲦᲐ

ბიზნესმენმა ავთანდილ წერეთელმა სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული გირაო გადაიხადა. როგორც "ინტერპრესნიუსს" ბიზნესმენის ადვოკატმა კახა წერეთელმა განუცხადა, ავთანდილ წერეთლის გირაოს საფასური მისი ოჯახის წევრის უძრავი ქონებით იქნა უზრუნველყოფილი.

"გირაოს საფასურად ჩაიდო ოჯახის წევრის უძრავი ქონება", — განაცხადა ადვოკატმა. ინფორმაციისთვის, ბიზნესმენის შვილი ვატო წერეთელი აანონსებდა, რომ მამისთვის შე-

ფარდებული გირაოს უზრუნველყოფაში "ტვ პირველის" შენობის ჩადება მოუწევდა. შეგახსენებთ, 27 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელს აღკვეთის ღონისძიების სახით 500.000

ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.
პროკურატურა ბიზნესმენს "თიბისი ბანკის" დამფუძნებლების ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავებოდა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით



შემოსავლის მიღება.

თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ავთანდილ წერეთელმა განაცხადა, რომ ის სასამართლოს მიერ მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული 500.000-ლარიანი გირაოს გადახდას არ აპირებდა და გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა ავთანდილ წერეთლის სარ-ჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლომ წარ-მოებაში არ მიიღო.

